საინტერესო ფაქტები ცნობილ ფიზიკოსებზე

რედაქტორი: ანანო გიორგაძე

მარი კიური

***მარი სკლოდოვსკა-კიურიმ თავის მეუღლესთან პიერ კიურისთან ერთად აღმოაჩინა რადიუმი და პოლონიუმი.**

*ის იყო პირველი ადამიანი [და დღემდე ერთადერთი ქალი], ვინც ორჯერ მოიგო ნობელის პრემია — ფიზიკასა და ქიმიაში.

მან პირველმა ჩაატარა კვლევა რადიაციით გამოწვეული სიმსივნეების მკურნალობის შესახებ და დააარსა მნიშვნელოვანი სამედიცინო კვლევითი ცენტრები.

* მან პირველმა ჩაატარა კვლევა რადიაციით გამოწვეული სიმსივნეების მკურნალობის შესახებ და დააარსა მნიშვნელოვანი სამედიცინო კვლევითი ცენტრები.



1890 – იან წლებში მარიას მიერ გაკეთებული ჩანაწერები და დოკუმენტები დღემდე სიცოცხლისთვის საშიშად ითვლება რადიოაქტიური დაბინძურების გამო.

მარიას კულინარიული წიგნიც კი რადიოაქტიურია. მეცნიერის დოკუმენტები ტყვიის ყუთებში ინახება, მათ გასაცნობად კი სპეციალურ დამცავ სამოსს იცვამენ.

კიურის მოსწავლეებს შორის ოთხი ნობელის პრემიის ლაურეატია.

ალბერტ აინშტაინის გამონათქვამები ცხოვრებაზე

1. გააკეთე ის, რაც გიყვარს, მაშინაც კი, თუ ეს დიდად არ გამოგდის (აინშტაინს ფიზიკის გარდა ბევრი რამ იტაცებდა. მას ძალიან უყვარდა ცომეული და ვიოლინოზე დაკვრა, მაგრამ განსაკუთრებით იტაცებდა ნაოსნობა.)

2. მიმართეთ აზროვნება თავსატეხების ამოსახსნელად (აინშტაინი სამყაროს სწორედ ასე ხედავდა: მისთვის, პრობლემები თავსატეხი იყო, რომელიც უნდა გადაეჭრა. ეს ეხებოდა როგორც ფიზიკას, ისე ზოგადად ცხოვრებას.)



3. ავტორიტეტის ბრმა მორჩილება ჭეშმარიტების უდიდესი მტერია
(აინშტაინისთვის უმნიშვნელოვანესი იყო კრიტიკული აზროვნება. როდესაც რაღაცის ზედმეტად გვჯერა, ვწყვეტთ კრიტიკულ აზროვნებას, ვემხრობით მას ვინც ჩვენს აზრს ეთანხმება და აღარ ვისმენთ მის ხმას ვინც განსხვავებულს ამბობს. აინშტაინისთვის სწორედ აქ კვდება კრიტიკული აზროვნება. ის ამას კოლექტიურ სიგიჟეს ეძახდა.)

4. მეცნიერება, სიმართლე და განათლება ყველასთვისაა და არა მხოლოდ პრივილეგირებულთათვის

- ნიურონმა კალკულუსი "მარტოობაში" გამოიგონა

1665 წელს, როცა დიდი ჭირი გავრცელდა ინგლისში და უნივერსიტეტი დროებით დაიხურა, ნიუტონი 22 წლის იყო და სახლში დაბრუნდა. ამ პერიოდს თვითონ უწოდებდა "მისი იდეების დაბადების წელს". იქ ყოფნისას მან შექმნა სრულიად ახალი მათემატიკური დისციპლინა — კალკულუსი, რათა აეხსნა სამყაროში **მოძრაობა**.



საინტერესო ფაქტები ისააკ ნიუტონზე

• ის ალქიმიითა და მისტიკით იყო გატაცებული
ნიუტონი ათასობით გვერდს წერდა ალქიმიაზე, ბიბლიურ ტექსტებზე და სამყაროს დასასრულის თარიღების გამოთვლაზე. ზოგი ფიქრობს, რომ სწორედ ეს მისტიკური ინტერესები უბიძგებდა მეცნიერულ კვლევებშიც



1705 წელს დედოფალმა ანამ მას მიანიჭა რაინდობა — პირველი შემთხვევა, როცა მეცნიერს ეს ტიტული მეცნიერული მიღწევებისთვის მიენიჭა.

• პირველი ეფექტური ტელესკოპი თვითონ ააგო
მან შექმნა ანარეკლავი ტელესკოპი, რომელიც ლინზების ნაცვლად სარკეებს იყენებდა. ეს ტექნოლოგია დღემდე გამოიყენება კოსმოსური ტელესკოპების ასაგებად.

$$F = ma$$

საინტერესო ფაქტები ნიკოლა ტესლაზე



ნიკოლა ტესლა – ელექტროენერგიის სფეროში რევოლუციური გამოგონებების ავტორი, რომლის ცხოვრება სავსეა ინოვაციური აღმოჩენებით და მისტიკური აურით;

ნიკოლა ტესლას მრავალი უჩვეულო აკვიატება ჰქონდა. მათგან ერთ-ერთი იმის რწმენა გახლდათ, რომ ეგვიპტის პირამიდები ენერგიის გიგანტური გადამცემები იყვნენ. მათი შესწავლით შთაგონებულმა, მეცნიერმა კოშკებიც ააგო.

ELECTRIC CIRCUITS

ტესლას ერთ-ერთი გრანდიოზული გამოგონება იყო **ცვლადი დენის ენერგოსისტემა.** ამ აღმოჩენამდე სამეცნიერო საზოგადოება მხარს უჭერდა თომას ედისონის მუდმივი დენის სისტემას, რომლის გადაცემა გარკვეული მანძილის იქით შეზღუდული იყო.

ნიკოლა ტესლას უსადენო გადაცემასთან დაკავშირებულმა ექსპერიმენტებმა საფუძველი ჩაუყარა რადიოგადაცემის ტექნოლოგიების განვითარებას.



მადლობა ყურადღებისთვის